

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში - იურიდიული პირი) არის ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ დაავადებათა კონტროლს, ეპიდზედამხედველობას, (მათ შორის ლაბორატორიულ და ელექტრონულ ეპიდზედამხედველობას) უზრუნველყოფს სამედიცინო საინფორმაციო სისტემის, სამედიცინო სტატისტიკის წარმოებას და სახელმწიფო პროფილაქტიკურ-პროგრამულ ღონისძიებების განხორციელებას.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე.
3. იურიდიული პირის სახელწოდება: „ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“
4. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის შემოსულობები ხმარდება მისი მიზნების განხორციელებას.
5. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ახალციხე, მერაბ კოსტავას ქუჩა N 18;
6. იურიდიული პირს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, არაკომერციული იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

მუხლი 2. იურიდიული პირის დამფუძნებელია

1. იურიდიული პირის დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალციხის მუნიციპალიტეტი. მისამართი: ქ. ახალციხე, მერაბ კოსტავას ქ. #18, საიდენტიფიკაციო კოდი: 224101317.
2. დამფუძნებელი განსაზღვრავს იურიდიული პირის წესდებას, მიზნებსა და ამოცანებს.
3. იურიდიული პირის დამფუძნებლის სახელით მოქმედებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 3. იურიდიული პირის მიზნები და ამოცანები

1. იურიდიული პირის მიზნები და მისი ამოცანებია:
 - ა) გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი. ინფექციურ დაავადებათა ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში მონაცემთა (72 დაავადება და მდგომარეობა) შეყვანა.
 - ბ) იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა სამედიცინო დაწესებულებებთან (პირველადი ჯანდაცვის (პჯდ))და ჰოსპიტალურ სექტორთან ერთად, განხორციელების ლოგისტიკური ხელშეწყობა, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული

- კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;
- გ) იმუნიზაციის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა - იმუნიზაციისა და მარაგების მართვის ელექტრონული მოდულის გამართული მუშაობის კოორდინაცია, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის დამხმარე ზედამხედველობა.
- დ) სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (შემდგომში დკსჯდ) ეროვნულ ცენტრში დადგენილი წესით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ ჯანდაცვის დაწესებულებებში (სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ფიზიკური და იურიდიული პირები) დაავადებათა რეგისტრაციის, შეტყობინებების სისტემის ფუნქციონირების, ანგარიშგების მოწესრიგების ხელშეწყობა, მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების შეფასება და მეთოდური დახმარების გაწევა კომპეტენციის ფარგლებში;
- ე) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა. პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას (აღრიცხვა-რეგისტრაციას დაქვემდებარებული გადამდები დაავადებების გამოვლენა, მათზე ექვის მიტანა ან ეპიდაფეთქება);
- ზ) ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების, ავადობის გრძელ და მოკლე ვადიანი პროგნოზირების მიზნით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება დკსჯდ ეროვნულ ცენტრის მონაწილეობით მოსახლეობისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის.
- თ) ჯანსაღი ცხოვრების წესის და უნარების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეცოფიკური ღონისძიებებით საკომუნიკაციო კომპანიების, სოციალური მობილიზაციის ორგანიზება და წარმართვა;
- ი) ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
- კ) გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება;
- ლ) ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, გადაწყვეტილებათა და დასახულ ქმედებათა კოორდინაცია პროფილურ ცენტრალურ სტრუქტურებთან;
- მ) პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება, ზრუნვა პროფესიული რეზერვის შექმნაზე;
- ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა. პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- ო) პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, გამრავლების ადგილების პასპორტიზაცია, პროფილაქტიკური, მკურნალობის ორგანიზება.

- პ) ჯანმრთელობის ადვოკატირება, კომუნიკაციის გაუმჯობესება, მოსახლეობაში საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობის წარმართვა, სოციალური მობილიზაციის ხელშეწყობა და საჭიროებების შემთხვევაში მისი უზრუნველყოფა. თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში.
- ჟ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება. ინფორმაციის კონსოლიდირება ელექტრონულ ფორმატში და ანგარიშგება დადგენილი წესით;
- რ) წყალმომარაგების სისტემის, სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ს) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 5, პუნქტი 3¹ და 3² -ით განსაზღვრული ნორმების შესრულების მონიტორინგი, დარღვევების რეგისტრაცია ელექტრონულ ბაზებში;
- ტ) „ტუბერკულოზის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ეპიდზედამხედველობის კომპონენტის განხორციელება, ასევე ტუბერკულოზის კონტროლის კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
- უ) ვერბალური აუტოფსიის მეთოდით სიკვდილით არაიდენტიფიცირებულ მიზეზთა შემთხვევების კვლევა;
- ფ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო მართვის ხელშეწყობა;
- ქ) „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობა;
- ღ) მუნიციპალური პროგრამების, პროგრამულ ღონისძიებათ ფორმირება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე წინა წლების (მინიმუმ 3 წელი მაინც) ავადობის შესახებ სამედიცინო-სოციალური-სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, პროგნოზული გათვლების საფუძველზე და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) პირობათა გათვალისწინება;
- ყ) არაგადამდებ დაავადებების, ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიების, თამბაქოს, ქრონიკულ რესპირაციული დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის, კიბოს, მარილის ჭარბი მოხმარების, სიმსუქნის, ტრავმატიზმისა და ძალადობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგიებისა სამოქმედო გეგმების ადგილზე განხორციელების ხელშეწყობა;
- შ) სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე დკსჯ ეროვნული ცენტრის ლაბორატორიული პოტენციალის გამოყენებით ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებში ეპიდრეჟიმის დაცვის სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული საავადმყოფოს შიგა ინფექციების პროფილაქტიკის ხელშეწყობა;
- ჩ) სამოქმედო ტერიტორიაზე საწარმოების, დაწესებულებების, მათ შორის საკურორტო/სარეკრეაციო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულებაზე მეთვალყურეობა.

- საჭიროების შემთხვევაში ოფიციალური შეტყობინებების მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.
- ც) ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა საწინააღმდეგო სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, კერების ეპიდემიოლოგიური შესწავლა-მონიტორინგის, სანიტარულ-პროფილაქტიკური სამუშაოების (დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია, კონტაქტირებულთა ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის კლინიკური ნიმუშებისა და გარემო ობიექტების მასალის აღება) ორგანიზების ხელშეწყობა.
- ძ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულებების და ექიმი ფიზიკური პირების კოორდინაციისა და ინტეგრირების ხელშეწყობა პროფილაქტიკურ პროგრამებში;
- წ) მონაწილეობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სასწავლო ღონისძიებებსა და ტრენინგებში;
- ჭ) „C“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების (სკრინინგი) მხარდაჭერა მოსახლეობის ინფორმირებულობის და მობილიზაციის გზით, მკურნალობის პროცესში ჩართვის ზედამხედველობა.
- ბ) კულტურის, სპორტის, საზოგადოებრივ შენობებსა და საადმინისტრაციო/სასწავლო დაწესებულებებში კვებითი პროდუქტებისა თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების უზრუნველყოფისას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგი; ხელშეწყობა არნიშნული ნორმების სრულად დაცვისათვის;
- ჯ) საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარულ ნორმებზე ზედამხედველობა;
- კ) საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განხორციელებისას საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, ან საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში შეუტანლობაზე ზედამხედველობა;
- კ¹) ჯანსაღ უნარჩვევათა განვითარების ფორმირებისა და დამკვიდრების მიზნით ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და სხვა სპეცოფიკური ღონისძიებებით ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ორგანიზება და წარმართვა.
- კ²) სასმელი წყლის სისტემის უსაფრთხო ექსპლუატაციის ღონისძიებათა შემუშავება კომპეტენციის ფარგლებში.
- კ³) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხეტიალე, უპატრონო და მიკედლებული ცხოველების იმუნიზაცია, კასტრაცია, სტერილიზაცია.

მუხლი 4. იურიდიული პირის მართვა

1. იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ენიჭება დირექტორს, რომელსაც ნიშნავს და ანთავისუფლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.
2. დირექტორი ანგარიშვალდებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე და პერიოდულად (მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 6 თვისა) წარუდგენს მას ანგარიშს, იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ, ხოლო ეპიდსიტუაციის შეცვლისას ახდენს ოპერატიული ინფორმაციის მოწოდებას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (დკსჯ ევ მეშვეობით) ყოველთვიურად აწვდის ანგარიშს გაწეული სამუშაოების

შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ვადების და სტატისტიკური ფორმების შესაბამისად.

3. დირექტორი:

- ა) წარმოადგენს იურიდიულ პირს მესამე პირებთან ურთიერთობაში. ორგანიზაციებსა და ყველა ინსტანციის სასამართლოში,
- ბ) უზრუნველყოფს პროგრამისა და პროექტების შედგენას, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი დამტკიცების უზრუნველსაყოფად და ზრუნვას მათ განხორციელებაზე;
- გ) ადგენს საშტატო ნუსხას, სახელფასო ფონდს და შესათანხმებლად წარუდგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს.
- დ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს იურიდიული პირის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;
- ე) დირექტორი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს;
- ვ) დირექტორი ორგანიზაციის სახელით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს საბანკო ურთიერთობებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს, ხელს აწერს საფინანსო დოკუმენტებს;
- ზ) წარმართავს და ორგანიზებას უწევს დაწესებულების საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;
- თ) დამფუძნებელთან შეთანხმებით, კანონით დადგენილი წესითა და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს შესყიდვას, გეგმის საფუძველზე.
- ი) წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ადგენს და ამტკიცებს იურიდიული პირის სამუშაო გეგმებს, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- ლ) დირექტორი, მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და დამფუძნებლის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის;
- მ) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სხვა მოქმედებები.

4. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელსაც დირექტორის მოვალეობის შესრულებას აკისრებს მერი.

მუხლი 5. იურიდიული პირის ვალდებულებები

- 1. იურიდიული პირი ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეასრულოს ამ წესდებით განსაზღვრული მოთხოვნები და ფუნქციები.
- 2. პასუხისმგებელია მასზე გაცემული ქონების მიზნობრივ გამოყენებასა და დაცვაზე.
- 3. ფუნქციებს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, დადგენილი წესით მიიღოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებიდან.
- 4. კომპეტენტურ სფეროებში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე მოამზადოს სათანადო წინადადებები და დასკვნები, წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერს განსახილველად.

5. მიიღოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებები და შუამდგომლობები, განიხილოს ისინი დადგენილ ვადებში და პასუხი გასცეს იმ კანონმდებლობისა და სამართლებრივი აქტების ფარგლებში, რომელთა აღსრულება შედის იურიდიული პირის კომპეტენციაში.

მუხლი 6. დაფინანსება

იურიდიული პირის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

1. ადგილობრივი ბიუჯეტი;
2. ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
3. სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავლები;
4. გრანტები;
5. შემოწირულობები ფიზიკური და იურიდიული პირებისგან;
6. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 7. იურიდიული პირის საკუთრება და ქონება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონებას შეადგენს წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ფულადი სახსრები და მატერიალური რესურსები.
2. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად იურიდიული პირს გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. იურიდიული პირის კონტროლი:

1. იურიდიული პირის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას, ეფექტიანობას და საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;
2. იურიდიული პირის კონტროლს ახორციელებს დამფუძნებელი შესაბამისი სამსახურის მეშვეობით.
3. საქართველოს მთავრობის ყოველწლიური დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას (ყოველთვიურ დოკუმენტურ მონიტორინგს) კვარტალში ერთხელ ადგილებზე აწარმოებს დკსჯდ ეროვნული ცენტრის მონიტორინგის ჯგუფი;

მუხლი 9. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. იურიდიულ პირს შეუძლია მხოლოდ დამფუძნებლის თანხმობით განხორციელების შემდეგი ქმედებები:
 - ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
 - ბ) სესხის აღება;
 - გ) თავდებობა;

- დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომელიც სცილდება დირექტორის საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებს.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.


მუხლი 11. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით .
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად.
3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულად ერთეულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
4. დამფუძნებლის გადაწყვეტილება იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
 - ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
 - ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
 - გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის. დარჩენილი ქონების განაწილება მოხდება კანონით დადგენილი წესით.
7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა, გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
2. წესდებებსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ზაზა მელიქიძე



მუნიციპალიტეტის მერი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია